სცამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაური ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკეთლით მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ხელმეორეთ სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ახლად გამართული რესტორანი

## „იუჟნი ნომერა"

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად & გემოიანად გაკეთებული სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი უფელდღის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეტები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი უძვლაფრისა იაფია
(30—16) პატივისცემით იდია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна
Ресторанъ «Южные номера» ✦ вина и водки ✦



## ☛ კურსი 15 მანათი ☚

1-ლ ენკენისთვიდან ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
✦ საწყალ ქართველ მოწაფეთ უფასოდ ✦
მსურველთ მიჰმართონ კავკასიის საამხანაგო აფთიაქის სავაჭროში ერევნის მოედანზე ელიზბარ ჯაჯანაშვილს.
იქვე ისყიდება ყოველივე მოწყობილება ფოტოგრაფიულ ხელობისა. (6—6)




ღვინის სარდაფი

## „იყალთო"

თ. გიორგი & ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## იყალთო

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
**„ИКАЛТО"**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліани, № 15. (75—14)

ქალ-ვაჟთა სკოლა

## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა

დ. ხონში

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.
თხოვნები უნდა გამოეგზავნოს პროგიმნაზიის უფროსს ელენე ბახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—3)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" გამგეობა ამით აცხადებს, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში თავისუფალია ადგილი ორი მასწავლებლისა, და მასწავლებლობის მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას. (3—3)

ქ. ქუთაისში
ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიმართება

## დოლი

[მარულა] (3—6)

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
ყუფასო სამკითხველოს ფონდისთვის გამართული იქნება

## ვაჭრობა-გაზრობა

დიდის მადლობით მიიღებენ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.
(12—9) ელენე ჯონთმულისა

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალის და დედათა სენებით-ფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე: შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ბერაძე.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—ყელისა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცვაძე.
თვალების ავადმყოფობა—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

რედაქციისაგან

გუშინდელი ნომერი ვერ გამოვიდა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

20 აგვისტო.

**პარიზი**. დღეს სამხედრო მინისტრის კაბინეტში პოდპოლკოვნიკი ანრი გამოტყდა, რომ ჩემი

დაწერილია, 1896 წლის ოქტომბრის თარიღით აღნიშნული წერილი, რომელშიაც დრეიფუსი სახელდობრივ არის დასახელებული. სამხედრო მინისტრმა ბრძანა მაშინვე დაეპატიმრებინათ ანრი, რომელიც წაიყვანეს მონ-ვალერინის ციხეში.

**პარიზი.** ანრის დაპატიმრების შესახებ გვახსენებენ, რომ როდესაც დრეიფუსის საქმის გამო შეეკითხნენ პალატას 25 ივნისს, კავენიაკმა მოიხსენია სამი საბუთის ქაღალდი და დასძინა. რომ მუსამეში დრეიფუსი სახელდობრივ არის დასახელებული. ამ საბუთის ქაღალდში შემდეგი სიტყვები ჩართული: „მე ვიტყვი, რომ დრეიფუსთან არავითარი დამოკიდებულება არა მქონდა. ასევე სთქვით. საჭიროა, არასოდეს არავინ შეიტყოს, ის რაც იმას დაემართა“.

**პარიზი.** გაზეთები იუწყებიან, რომ პიკარის მიერ კავენიაკთან გაგზავნილ წერილის გამო, რომელშიაც მინისტრის საცნობელად აღნიშნულია ყველა გარემოება, რომელიც კი პიკარს ხელს უშლიდა გამოემჟღავნებინა საპროფესიონალო საიდუმლოება, კავენიაკი შეუდგა გამოძიებას და ჩვენება ჩამოერთვა საგენერალო შტაბის ყველა აფიცერს რომელსაც კი რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ დრეიფუსისა, ესტერგაზისა და პიკარის საქმესთან. ამ ჩვენების ჩამორთმევის დროს ანრი გამოტყდა, რომ ჩემი დაწერილია ერთი საბუთის ქაღალდთაგანი, პალატაში წაკითხული. ამის გამო კავენიაკმა უბრძანა ანრი დაეპატიმრებინათ.

**პარიზი.** კერძო ცნობებით შევიტყეთ, რომ კავენიაკმა, დანიშნულ იქმნა თუ არა სამხედრო მინისტრად, მიანდო მასთან მყოფს აფიცერს შესწავლა დრეიფუსის საქმისა დაწერილებით. ჯერ კიდევ 3 აგვისტოს ამ აფიცერმა სიყალბე აღმოაჩინა მაგრამ ეს ამბავი მინისტრს მაშინ აცნობა, როდესაც იგი პარიზს დაბრუნდა. სამშაბათს გენერალმა გონზმა პოდპოლკოვნიკი ანრი კავენიაკის კაბინეთში მიიყვანა; იქვე იყვნენ ამ დროს გენერლები როჟე და ბუადეფრი. აქ პოდპოლკოვნიკი ანრი გამოტყდა, რომ მაგ საბუთის ქაღალდს უკანასკნელი წინადადება მე მიუმატეო. ბოლოს სთქვა, რომ მთელი საბუთების ქაღალდი ჩემ მიერ არის ყალბად შედგენილიო. ანრი ამის გამო მონ-ვალერიენში გაჰგზავნეს.

იუწყებიან, რომ ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის გამო მინისტრის აზრი, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, სრულიად არ შერყეულაო, ხოლო მინისტრს გარდაწყვეტილი აქვს დასაჯოს ყველა დამნაშავენი, ვინც უნდა იყვნენო. არა ჰფიქრობენ, რომ ანრის მიერ დანაშაულის აღიარების გამო ბრძანება გაიცეს დამატებითის გამოძიების შესახებ. ანრის საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცემა.

# ახალი ამბავი

*** **მთავარ-მართებლის ჩამობრძანება.** დღეს მოსკოვიდან ჩამობრძანდება კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი და ხვალვე გაემგზავრება ბათომში.

*** **ტფილისის გუბერნატორი** დღეს ჩამოვა და ხვალ გაემგზავრება ბორჯომში.

*** **მამა არხიმანდრიტის კირიონის სახელდება ეპისკოპოსად** დანიშნულია საქართველოს ეგზარხოსის სახლის დარბაზში დღეს, 22 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ხოლო ხელ-დასხმა ეპისკოპოსად კვირას, 23 აგვისტოს, სიონის საკრებულო ტაძარში. ამ ღირსეული დღეებისათვის მოწვეულნი არიან ეპისკოპოსნი—გურია-სამეგრელოსი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც უკვე ჩამობრძანდა და იმერეთისა ყოვ.-სამღვდელო ბესარიონი. ამათ გარდა ხელ დასხმაში, რომელიც შერულებულ იქნება მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესის, საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს მიერ, მონაწილეობას მიიღებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა.

*** **გაზ. „Казбекъ“-ი** 8 თვის შეჩერების შემდეგ გამოვა ისევ—პირველი ნომერი გამოვა მომავალ სექტემბრის ორში.

*** **საავადმყოფო სოხუმში.** სოხუმის საპატიმროსთან განზრახვა აქვთ დააარსონ საავადმყოფო.

*** **გამგეობის კრება** დანიშნულია ამ ზაფხულის შემდეგ დამდეგ სექტემბრის ცხრასა.

*** † **სომხთა არტისტი ტურიანი** გარდაცვლილა გუშინ წინ ტფილისში დამბლისაგან. ტურიანი იყო 58 წლის კაცი.

*** **ინგლისის ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მორფილი და ბ. ალ. ხახანაშვილი.** ბ. ხახანაშვილს ატყობინებს პროფესორი მორფილი, რომ იმისმა უკანასკნელმა წიგნმა, ქართული ლიტერატურის ისტორიამ, ძალიან ასიამოვნა და დიდის თანაგრძნობით იხსენიებს ჩვენი ახალგაზდა პროფესორის შრომას. სხვათა შორის რუსთველის უკვდავ „ვეფხვის ტყაოსანზე“ სწერს, რომ მშვენიერი გამოცემა (გ. ქართველიშვილისა) მაქვსო ჩემს მდიდარ ბიბლიოთეკაშიო. ბ. ხახანაშვილის შრომაზე მალე ვრცელ წერილს დავბეჭდავ ინგლისურს ჟურნალებში და გამოგიგზავნითო.

*** **ქუთაისის გუბერნატორის ჩამოსვლა.** ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან ახლად დანიშნული ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ფ. კ. გერშელმანი, რომელიც ამ ცოტას ხანში გაემგზავრება თავის ადგილზე.

*** **პროგიმნაზია და რკინის გზა ოზურგეთში.** როგორც „ნ. ობ.“ იუწყება, ოზურგეთის მოურავს თ. ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძეს იმედი აქვს, რომ ამ ცოტას ხანში უმაღლესი მთავრობა საკეთილოდ გადასწყვეტავს ოზურგეთში პროგიმნაზიის დაარსებას და სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის შტოს გაყვანას, ხოლო ეგ გზა უნდა გააკეთოს რომელიმე კერძო პირმა ანუ ამხანაგობამაო.

*** **გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ ლექსად ქართულ ენაზე.** ჩვენს ნიჭიერ მწერალ ქალს განდეგილს ბედნიერი აზრი მოსვლია ცნობილის პიესის „ვაი ჭკუისაგანის“ თარგმნა ლექსად და კიდეც გადათარგმნია პირველი მოქმედება. ამბობენ თარგმანი მშვენიერი რამეა და ძრიელ ახლოა თურმე დედანთან.

*** **ჟანდარმის დაჭრის საქმე.** ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ სკრაში თ. გიორგი შალიკაშვილმა და ივანე მამაცაშვილმა ჩხუბის დროს 12 ივლისს დასჭრეს ადგილობრივი ჟანდარმი ხოვხულუ. ეგ საქმე უკვე გამომძიებელს დაუმთავრებია და საოლქო სასამართლოში გადაუცია.

*** **ნიხრის დაკლება ბატკანზე.** ქალაქის გამგეობა ბატკნის ხორცზე ფასი დაუკლია—ნახევარი კაპიკი, ასე რომ ეხლა გირვანქა ბატკნის ხორცი ღირს 8 კაპიკი.

*** **რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის გადიდება.** რადგან სატეხნიკო სკოლაში შესვლის მსურველი ბევრია, წელს მაგალითად სწავლის სურვილი გამოუცხადებია 118 ყმაწვილს. ამიტომ სკოლის გამგეობა აპირებს შენობის გადიდებას.

*** **ვენახის წამალი იყიდება** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ტფილისს. ერთი ფუთი კუპოროსი 3 მან. 25 კაპ. ერთი ფუთი გოგირდი 1 მ. 90 კაპ., ვერმორელის აპარატი 12 მ. 50 კ. და ყურძნის დასასხურებელი მანქანა ტერპილი 9 მ., ლაგლეზის საბურველი 1 მ. 80 კ.

*** **ქვაბთა-ხევის ხელ-ნაწერები.** არქიმანდრიტ კირიონმა ქვაბთახევიდან ჩამოიტანა და ჩააბარა ტფილისის საეკლესიო მუზეუმს 96 ცალი ხელ-ნაწერი, რომელთაგან არა მცირე ნაწილი ტყავზე ნაწერია. ამ ტყავზე ნაწერთა შორის არის ერთი სახარება, რომლის ბოლოში წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძია ჩართული. ეს სახარება, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ნაშთი მე-XI საუკუნისა. ანდერძი წმ. გიორგი მთაწმიდელისა († 1066 წ.) ფრიად ვრცელია და მასში მოთხრობილია, თუ რამ აიძულა იგი ხელ-ახლა ეთარგმნა სახარება. ძველი თარგმნები გადამწერლებს გაერყვნათო და ამიტომ ახლად ვთარგმნეო. ერთგან სწერია (გვ. 255): „სახარებასა მართალსა და უფროჲს მზისა ბრწყინვალესა, ახლად განწმენდილსა წმიდისა მამისა ჩუ■ნისა მიერ გიორგი მთაწმიდელისა, რომელსა შინა არა არს ერთიცა ასო მრუდი და ნაკლული და არცა მეტი, ხოლო ჩამწერი საძიებელი წელიწადისა“ და სხ. შესანიშნავია აგრეთვე დავითნი, წვნიკის ნუსხურით გადაწერილი (სათაურები ოქროს მელნით გამოყვანილია) 1494 წელს ამბროსის მიერ პატრონის მზექაბუკის ბრძანებით. ამ ძვირფას დავითნის შესახებ გვექნება საუბარი ცალკე წერილში, რომელშიაც განვიხილავთ ყველა დავითნებს ერთად, ხოლო ეხლა უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა ხელნაწერებში ჩვენ შეგვხდა ფილოსოფოსის ი. პეტრიწის თქმული იამბიკოები და სხვა წიგნში კიდევ ძვირფასი ცნობა შესახებ მე-VI საუკუნის მთარგმნელთა—დავითისა და სტეფანესი.

ქვათახევიდან მოტანილ წიგნთა უმეტესი ნაწილი ყოფილა კუთვნილება ცნობილის ტარასი არქიმანდრიტისა დ აგრეთვე ნიკონისა (ჯობინაშვილისა).

კირიონისაგანვე მუზეუმს გადმოეცა აგრეთვე დიდი სურათი ანტონი I-ისა (ზოგნი ამბობენ ანტონი მეორისაო). კარგი იქნება, რომ ჩვენმა მესურათ-ხატეებმა გადიღონ ამ სურათის პირი და გაავრცელონ.

*** **დ. ხაშური.** ყივანა-ხველა და ცრუ-მორწმუნოება. თითქმის 2 თვე იქნება, რაც აქ ყივანა ხველა მძვინვარებს, რომლის წყალობითაც ბევრი კვდება, მაგრამ ამ ავადმყოფობის წინაამდეგ ჯერაც არავინ ზრუნავს. ხალხის გონება იქამდის მოუცავს სიბნელეს, რომ ერთი-

მეორეს ურჩევენ: არამც და არამც წამალი არაფერი მიაკაროთ ავადმყოფს, თორემ ეგ ისეთი ანგელოზები („ბატონები“) არიან, სულ ცოტა ეყოფა მიზეზათ, რომ ამოჟლიტოს რაც სოფელში ბავშვები არიანო. ხშირად შეხვდებით, რომ დანაყილს შაქარს აყრიან ავადმყოფის ლოგინზე და დასძახიან: ტკბილად და შაქრად იყავი, თქვენს მობრძანებას ვენაცვალეო. ავადმყოფის საცვლის გამოცვლა ხომ არ შეიძლება, მანამ არ მორჩება ან სიკვდილით ან სიცოცხლით. მე თითონ შევხვდი, რომ ავადმყოფის დედას შაქარ მოფქვეულს ლოგინზე, სადაც მრავლად ეხვეოდნენ ბუზები და აწუხებდნენ ავადმყოფს, მოგერებაში რამდენიმე ბუზი შემოჰკლომოდა, ქმარი-კი დიდი მუქარით ეუბნებოდა: „ე ბუზები რო დაგიხოცნია, ბატონებს ეწყინება და ემაგ ბავშვს თუ აუტყდა რამე, სულ შენი ბრალი იქნება და მე შენ გაჩვენებ მერეო.“

თუ ავადმყოფი მოკვდა და სახლში სხვა კარგად მყოფი ბავშვებიცა ჰყავთ, დედამ უნდა „ბუზიკა“ დაუკრას და თანაც იცეკვოს, თორემ თუ დაღონება ან ტირილი შეატყვეს, ბატონებს ეწყინებათ და დანარჩენთ უარესს დღეს დააყენებსო და სხვა.

დრო არის ბოლო მოეღოს ამდენს ცრუ-მორწმუნოებას და რამე საშუალება იხმარონ ვისიც ჯერ არს. რადგანაც მომეტებული ნაწილი ხალხისა „დოხტურის“ წამალს შორს გაურბის და ემალება, [ა]რიგო არ იქნება მღვდლები საყ[...]ოში თვისთა მოქმედებათა შესრულების შემდეგ რამდენიმე სიტყვას წარმოსთქვამდნენ ერის წინა[შე] დარიგებითი კილოთი, იმის [შ]ესახებ, თუ გამოლოცვისა, მკითხავთან ხეტიალის და სხვა ამისთანებზე უბრალოთ ფულის ფლანგვის მაგიერ ნასწავლ ექიმებს მიჰმართავდნენ, რაიცა დიდ გავლენას იქონიებს ხალხზე მათდავე საკე[თ]ილ-დღეოდ.

იოსებ მირზაშვილი

*** **ს. რგანი** (იმერეთი). სიკვდილი გვირაბში. ამას წინად აქ გიგია და სანდრო ბრეგვაძეების შავ[ი] ქვის გვირაბში, რომელშიაც რამდენიმე მუშა მუშაობდა, გვირაბი ჩამოინგრა და ერთი ლარჩ[ვ]ალელი გლეხი ნიკოია ბერიძე [ქ]ვემ მოიტანა და მაშინვე გარდაიცვალა. მიცვალებული იმ ღამესვე თავისს სამშობლოში წაასვენეს და რაღაც მანქანებით საქმეც ისე მიფუჩეჩდა, რომ მთავრობის ყურამდი არც-კი მიუხწევია.

*** **სურამი.** წარმოდგენის გამო. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში. თქვენი გაზეთის 610 ნომერში დაბეჭდილია წერილი სურამში გამართულ წარმოდგენის შესახებ. მე შემიძლიან ამ წერილის ავტორთან ერთად არ მოვიხსენიო იმ წარმოდგენის უწესოება და უთავბოლობა. ავტორი წერილისა ბ. ვანო ბრძანებს თავის წერილში ვითომ ალ. ნათაძეს წარმოდგენის გამართვაში მომხრეები და თანაშემწენი არა ჰყავდა, ჩვენ კი დარწმუნებით ვიცით, რომ ამ წარმოდგენის გამართვაში დიდი შრომა მიიღეს ქ.ქ. აბაზაძისამ, ვ. და ქ. სავანელებისამ, ქიქოძისამ, მუატი სახლობამ, ბ.ბ. შიო დედაბრიშვილმა, კ. გაბარაშვილმა, ნცულიამ და ვ. აბაზაძემ.

ვანო მურვანიშვილი

*** **გურია.** აუარებელი სიმდიდრის გაფუჭება. არა მგონია კიდევ იყოს საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე იმდენად ზომიერად შეზავებულ-შეხამებული ადგილმდებარეობის მხრით, როგორათაც ჩვენი პატარა გურია არის. იშვიათი ზომიერებით გაუნაწილებია ბუნებას ერთმანეთში აქაური მთები და ვაკე ადგილები. დასავლეთი და ჩრდილოეთი გურიისა თითქმის სულ ვაკეა, ხოლო აღმოსავლეთი და სამხრეთი მთა-გორიანი და ტყიანია. სამხრეთი, როგორც მოგეხსენებათ, გურიას აკრავს გრეხილი აჭარა გურიის ქედისა, რომლის უმაღლეს მწვერვალად საყორნია *) ითვლება. ამ მთების მნიშვნელობა გურიისთვის მეტად დიდია: გურიის მდინარეების სათავე ამ მთებში იმყოფება; აქაურ მკვიდრთა ხე-ტყე-შეშის წყაროც ესაა, აგრეთვე ერთად ერთი საძოვარი ადგილი გურიის მკვიდრთა საქონლისათვის კიდევ ესევე მთა არის.

აჭარა-გურიის მთის კალთები დაფენილია მშვენიერის ხშირის ტყით. ამ ტყეებში არის შემდეგის ჯიშის ხეები, ფოთლოვან ხეთაგან: თხემლა (მურყანი), წიფელა, ცაცხვი, წაბლი, რცხილა, ნეკერჩხალი და არყის ხე იქა, სადაც ალპიის ზოლი იწყება. ბურძგლოვან ჯიშთაგან, ხოლო ნაძვი და სოჭი ბუჩქნოვანთაგან: შკერი, წყავი, ელი, ბაძგარი, წყამაზა, ქნავი, მოცვი, უზანი, იასამანი და სხვ. გურიის ტყის უმეტესი ნაწილი, ზოგიერთა აქ მოსამსახურე ტყის მოვალეთა წყალობით, სახაზინო ტყეებად ჩარიცხულა. ყველა აქაური ტყეები მდებარეობენ შემდეგ ადგილებში: მდ. სუფსის ღელის დაყოლებით მეწიეთისა და კეკელიძეების ტყე; მდ. ბახვის წყლის ღელის დაყოლებით—გურიელების, სიამაიშვილების და სახაზინო ტყე; ყუჯის [ღ]ელის დაყოლებით—გომის ტყე; აჭის წყალის დაყოლებით—აჭის ტყე. ამ ნაირად, გურიის ყველა ტყეები მოთავსებულია იმის განაპირად, თვითონ შ[უ]ა გურიაში კი ტყე აღარ არის. მთელი გურია გაკაფულია იმ წვრილ-წვრილ ტყეთაგან, რომელიც წინად აქ ყოფილა. ხოლო ეხლანდელი ზემოთ ჩამოთვლილი ტყეები შეადგენენ, როგორცა ვსთქვით, მთელი გურიის საჭიროების დასაკმაყოფილებელ წყაროს ხე-ტყე-შეშის მხრით ამას გარდა, ამ ტყეებშივე მოკალათებულა და დარჩენილა კიდევ ერთი სასარგებლო და მეტად სასიამოვნო ადგილობრივ მრეწველობის დარგთაგანი—მეფუტკრეობა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ტყეები თითქმის ჯერ ხელ-უხლებელი, ძველის-ძველი არის. უხმარებლობისა და მეტის სიხშირისაგან, ტყეებს ჰირი გასჩენია და ლპება. მეტადრე სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს ამ მხრით სოფ. სურების უზარ-მაზარი ას წლოვანი ხშირი ხელ-უხლებელი ტყე, რომელშიაც ხშირად ნახავთ ისეთს ვებერთელა ნაძვს და სოჭს, რომლის სიმსხო რამდენიმე საჟენია ირგვლივ, სიმაღლე კი თვალ-უწვდენელი. ასეთი ძვირფასი ტყე გურიისა საოცარის სისწრაფით ხმება, ლპება და ოხრდება უხმარებლობის გამო, ასე რომ ათიოდე წლის განმავლობაში უსათუოდ ერთიანად მოისპობა ეს ძვირფასი ქონება და მის სამაგიეროდ მარტო ტიტველი გორები და დაურჩება გურიას. ასეთი ბედი მოელის მთელ აქაურ ტყეებს, თუ იგი ამ მდგომარეობაში დარჩა. უმთავრესი მიზეზი ასეთი ძვირფასი ტყის უსარგებლოდ დაღუპვისა გზის უქონლობა გახლავთ.

როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ამ ბოლო დროს სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ყურადღება მიაქცია კავკასიის ტყეების უნუგეშო მდგომარეობას და განზრახვა აქვს გზები შეიყვანოს აქაურ ტყეების მისადგომ ადგილებში. იმედია გურიის ადგილობრივი ადმინისტრაცია ისარგებლებს ამ გარემოებით და ამ მაზრისათვის სასარგებლოდ გამოიყენებს სამინისტროს ასეთს განკარგულებას. ამით როგორც ხაზინას, ისე მთელის გურიის ნივთიერად ასე დაქვეითებულს მკვიდრთ დიდი შეღავათი და შვება მიეცემა.

ინ-ცან

*) თუმცა განსვენებული ჩვენი არქეოლოგი დ. ბაქრაძე ამ ქედის უმაღლესს მწვერვალებად სთვლის საომელიას. (9306 ფ.), ზოტიმერიას (8769 ფ.) და მეფის წყაროს (9343 ფ.) და სრულიად არ იხსენიებს თავის ნაწერში „Археологическое путешествіе по Гуріи и Адчарѣ» საყორნიას, მაგრამ ეს შეცდომაა: საყორნია ყველა ამ სიმაღლეებს თავს დასცქერის.

*** **ს. დვალიშვილები** (იმერეთი). ს. დვალიშვილები ძევს მახლობლად სამტრედიისა, მდ. რიონის მარცხენა მხარეს. ეს სოფელი არის მშვენიერი მდებარეობისა და განსხვავდება სხვა ახლო-მახლო სოფლებისაგან საუკეთესო ჰაერით. გარდა ამისა ამ სოფელში არის სამკურნალო აბანო, რომელსაც უკვე მრავალნი იცნობენ. აგერ ერთი წელი გადის, რაც ჩვენს სოფელში დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც უქონლობისა გამო მოკლებულია მრავალ აუცილებელ ნივთებს, მაგალითად, როგორიც არის საკითხავი წიგნები. ეს ნაკლულევანება შეიძლება აიხსნას მით, რომ ზემოხსენებული სკოლა, როგორც ზევით არის ნათქვამი, დაარსებულია სულ ერთი წელი და მე ამ ერთი წლის განმავლობაში ვერ ვიხელთე დრო მიმემართა შემწირველთა და მაყურადღებელთა ამ გვარ კეთილი საქმისა. ახლა მოახლოვდა რა დრო მეცადინეობისა, როდესაც ყველა მსურველნი სწავლისა მიისწრაფებიან სასწავლებლისაკენ, მე მომაგონდა წარსული წელი უქონლობისა, რომლისა გამო ბევრი გაჭივრება მოვითმინე, როგორც მე, აგრეთვე ჩემმა მოწაფეებმაც. ამისთვის განვიზრახე მივმართო იმ ქველ-მოქმედ პირებს, რომლებთაც არა ერთხელ აღმოუჩენიათ შემწეობა ამ გვარ საქმისათვის, და ვთხოვ მათგან შემწეობას აღსადგენად და კარგ ნაბიჯზედ დასაყენებლად აღნიშნული სკოლისას. ვგონებ, რომ არავის არ გაუჭირდება შეეწიოს ამ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ სკოლას თითო-ოროლა წიგნაკი და ამით გამოიჩინონ გულშემატკივრობა—და მიტომ უმორჩილესად ვთხოვ თანამგრძნობელთ, ნუ დასტოვებენ ჩემს თხოვნას უყურადღებოდ და აღმოუჩენენ შეძლებისა დაგვარად შემწეობას ამ დაცემულ სამრევლო სკოლას.

შემომწირველთ შეუძლიან მოგვმართონ შემდეგი ადრესით: ქ. ქუთაისში, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფეს გრიგორი ტიმოთეს ძე გიორგაძეს, გადასაცემად ილარიონ დვალიშვილზე.

დვალიშვილების სამ. სკ. მასწავლებელი ილარიონ დვალიშვილი

*** **ს. დიდი ჯიხაიში** (იმერეთი). ფარდულების შესახებ. მეაბრეშუმეობას ჯიხაიშელები დიდის გულ-მოდგინებით ეკიდებიან და კიდევაც თან და თან ვრცელდება ხალხში ეს დარგი მეურნეობისა; ასე, რომ ათას მოსახლეში ათი არ იქნება, რომ ყოველ წელს აბრეშუმზე არ მუშაობდეს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ უფარდულობა დიდად ხელს უშლის მცხო-

ვრებთ, რის გამოც ჩარჩ-ვაჭრებმა ფეხი მოიკიდეს ჩვენში და წვითა და დაგვით ნაშრომი მუქთად ჩაიგდეს ხელში. აი წელსაც ბევრი აბრეშუმი გაიყიდა ჯიხაიშში და სულ ჩარჩებმა იყიდეს და რამდენი წონაში დააკლეს, ვინ იცის. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ უფარდულობა; კუხის ფარდული მოშორებით არის ჯიხაიშზე და მომტანსაც უძნელდება დროზე ხელის გაცლა და უგვიანდება პარკის თავიდან მოშორება, რის გამო კარზე მომდგარ ჩარჩს უვარდება ხელში. ამიტომ ძრიელ საჭიროდ მიგვაჩნია ჯიხაიშში დაარსდეს მეორე განყოფილება და ფარდულებიც. ამას წინადაც იყო ამაზე კანცელარიაში ყრილობა, მაგრამ ხალხმა ჯერ ვერავითარი განაჩენი ვერ დაადგინა. იმედია ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი მამასახლისი და კუხის პირველი ამხანაგობის მმართველი ბ. ნესტორ წერეთელი და მომავლისთვის მაინც ხელს შეუწყობენ ამ საქმეს.

ბაშელი დიდგულაძე

*** **ქუთაისი.** მადლის წყალი. ამ სამი ოთხის დღის წინად ტფილისიდან ჩამოვიდა აქ გეოლოგი ბ-ნი სიმონოვიჩი, რომელმაც დაათვალიერა ჭიშურას მახლობელი ადგილები, სადაც დიდძალი წყაროს წყალია. ეს წყარო ქუთაისზედ მოშორებულია სულ რვა-ცხრა ვერსით. თითონ ბ-ნ სიმონოვიჩს მოსწონებია ეს წყარო და უთქვამს, რომ ესა სჯობია ტფილისის მილის წყალსაო. შემდეგ ორჯერ დაათვალიერა აქაურმა სამხედრო ინჟენერმა ბ-ნმა გრიაზნოვმა, რომლის დაახლოვებითის ანგარიშით ეს წყარო დღე-ღამეში მისცემს ქუთაისს 300,000 ვედრა წყალს. ამ წყაროს წყალი ტფილისში გაჰგზავნეს, რომ ქიმიურად გასინჯონ. („ივ.“).

*** **სოფ. აფშო** (თიანეთის მაზ.). წყალში დახრჩობა. ამ დღეებში მდ. არაგვში იპოვნეს დამხრჩვალის 12 წლის ბავშვის ხვთისო გუბარაშვილის გვამი, რომელსაც, თურმე, დედინაცვალი ისე სასტიკად ექცეოდა და სტანჯავდა, რომ ბავშვს სიცოცხლეს სიკვდილი ერჩივნა.

აი საქმე როგორ ყოფილა: ამ რამდენიმე წლის წინად სოფ. აფშოში მცხოვრებელს ფრუშკია ყბაილაშვილს ჰყოლია უკანონო ცოლათ თასარა გუბარაშვილისა, რომელთანაც გასჩენია ქალ-ვაჟი. რამდენიმე წლის შემდეგ ფრუშკიას ხასა გაუგდია; დედას ქალი თან წაუყვანია, ხოლო ვაჟიშვილი კი, ხვთისო მამასთან დარჩომილა, რადგანაც მამას არ დაენებებინა. შემდეგ ფრუშკიას მოეყვანა სხვა ხასა, რომელიც, თურმე, უდიერად ექცეოდა გერს, სცემდა, სტანჯავდა და მოსვენებას არ აძლევდა, მამა ფრუშკიაც, თურმე, ასევე ექცეოდა.

ამ თვის პირველ რიცხვებში დედინაცვალს ჯერ კარგად ეცემნა გერისთვის და მერე საქონელში გაეგდო. საღამოზე ბავშვი შინ აღარ მისულა და ერთ კვირაზე მეტი დაკარგული ყოფილა; ხოლო ეხლა ამ რამდენიმე დღის წინად მეთევზეებმა იპოვნეს მდ. არაგვში წყლისაგან გამორიყული.

დედა სჩივის, რომ ფრუშკია და მისი ხასა დედუნა ჩემს შვილს უდიერად ექცეოდნენ, სტანჯავდნენ, აწვალებდნენ და თავი დააჴრჩობინესო. ასეც უნდა იყოს, რადგან, როგორც ამბობენ, ამ ერთის წლის წინად, თურმე, ფრუშკიას თავისი ცოლიც ამ ნაირადვე მოეკლა და ეს საქმე კი დღესაც მიჩქმალულია.

— **შემთხვევით სიკვდილი.** 6 აგვისტოს, თელავში მცხოვრებს იოსებ ავეტიკოვს მიჰქონებია ცხენის ურმით საქონელი თიანეთის მაზრის სოფელ მატანში სავაჭროდ, გზაზე, თავდაღმართზე ურემი დაქანდა, ცხენმა ველარ დაიჭირა, ავეტიკოვი ურემს გვერდზედ მისდევდა და ცდილობდა როგორმე დაეყენებინა, მაგრამ ამ დროს ჩოხის კალთა ურმის თვალს გამოედო, ავეტიკოვი ქვეშ მოიტანა და ურმის თვალმა ზედ გადაუარა, რის გამოც მაშინვე მოკვდა.

ანაშვილი

## რედაქციისაგან

—

**დ. აბაშაში** ბან-დონს. თქვეი უკანასკნელი წერილი ვერ იბეჭდება.

**შემოქმედში** იქაურს. თქვენი საპასუხო წერილი ვერ იბეჭდება.

**ოზურგეთში** ლშის პირელს თქვქნი წერილი ვერ დაიბეჭდა.

**სამტრედიაში** ანტონაშვილს. წერილი მომღერალ და ლოთ მედუქნეზე არ დაიბეჭდება.

**ნოსირში** ბესარიონ დუნდუას. თქვენი წერილი უკეთესია გაგზავნოთ ადგილობრივ ბოქაულთან, იგი უფრო გამოგადგებათ, ვიდრე გაზეთი და შესაფერად ალაგმავს თქვენს მოცილეებს.

**ტფილისში** ბესარიონ გიგაურიშვილს. თქვენი წერილის შინაარსი კერძო ხასიათისაა. სჯობია აწყურის მამასახლისს ბოქაულთან უჩივლოთ.

## თეატრის მატიანე

—

**თელავი.** ალექსი-მესხიშვილის წარმოდგენა. ხუთშაბათს, 13 აგვისტოს, აქაურს თეატრის დარბაზში დრამატიული დასის არტისტებისაგან გამართული იყო უკანასკნელი წარმოდგენა, ბენეფისი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა. წარმოადგინეს 5 მოქმ. ტრაგედია გუცკოვისა „ურიელ აკოსტა“. თელავის საზოგადოება ადრევე შეუდგა სამზადისს ალექსი-მესხიშვილის ბენეფისის დასახვედრად: ზოგმა გვირგვინი შეუკვეთა წინანდალში, ზოგმა ვარდების კრეფა დაიწყო და ზოგმა კიდევ შეჰკრიბეს ყმაწვილ-კაცობა და უნდოდათ საყვარელი არტისტი ვახშმად მიეწვიათ. მაგრამ არტისტმა დაღლილობისა გამო უარი გამოაცხადა, ბილეთები ორივე ლოჟიდამ მოყოლებული უკანასკნელ გალერეიამდე სულ გაყიდული იყო. სუყველას წინადვე აეღოთ ბილეთები. წარმოდგენა დაიწყო და გამოჩნდა თუ არა მესხიშვილი, დაიწყეს ვაშას ძახილი. ტაშის-კვრა და ვარდების სროლა, მიართვეს გვირგვინი პრტყელის ლენტით. ძლივ-ძლივობით დაწყნარდა საზოგადოება, მაგრამ როცა გათავდა პირველი მოქმედება, ისევ ტაშის-კვრით გამოიწვიეს და ლ. რ. ვახვახიშვილმა მიართვა ვახვახიაანთ მხრიდამ მშვენიერი ვარდების ლირა, რომელიც წინანდალში შეუკვეთეს საგანგებოდ, ძვირფასის ცის-ფერი ლენტით.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ისევ ის პირნი, რომელნიც პირველ და მეორე წარმოდგენაში თამაშობდნენ. ურიელ აკოსტას როლი ვ. ალექსი-მესხიშვილმა საუცხოვოდ შეასრულა და განსაკუთრებით მშვენიერი იყო მეოთხე მოქმედ. სინაგოგაში და მეხუთეში—როცა თავს იკლავს. ხმაც კარგათა ჰქონდა ამ საღამოს. აგრეთვე სხვებმაც კარგად შეასრულეს თავ-თავიანთი როლები. ამ წარმოდგენაზე უფრო მეტი წესრიგი იყო, მინამ წინანდლებზე, სუყველანი თავ-თავიანთ ალაგას ისხდნენ და არევ-დარევა არ იყო.

თელაველი

### ყურმოკრული საუბარი

—

ოკრიბელის საქციელი (ხალხური). ოკრიბელი პირველად ჩამოვიდა ქალაქში და სხვათა შორის, საზამთროს ნახვამაც ძალიან გააკვირვა. მიდის და ეკითხება ბაყალს საზამთროზე:

— ეს რა არის?

— ვირის კვერცხია; მაგისაგან რაშები იბადებიანო, არწმუნებს ბაყალი.

ოკრიბელს ძალიან მოეწონება ასეთი კვერცხი და რასაკვირველია მაშინვე უიდულობს. მიდის გახარებული სახლში და საზამთროც თან მიაქვს; ერთს ფერდობ ადგილზე საზამთრო ხელიდან გაუვარდება და ძირს ჩაგორდება. ამ დროს ჯაგებიდან კურდღელი დამფრთხება და გამოვარდება. ოკრიბელი იფიქრებს: სწორედ ჩემი კვერცხი გასკდა და ეს იქიდან დაბადებული რაში უნდა იყოსო და ეხვეწება: მოიცა შენი ჭირიმე, ჩემო რაშო! ჩემო... მაგრამ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვეღარ ნახავს. სახლში ძლიერ გულნატკენი მივა და ამ ამბავს ცოლს ეტყვის. ცოლიც ძალიან შესწუხდება და წყენით ამბობს: რომ არ დაკარგულიყო, აქედანვე შეუდგებოდი რაშით სეირნობასო. როგორ თუ სეირნობასაო, გაჯავრდება ოკრიბელი, წამოქცევს ცოლს და ერთი ლაზათიანად მისტყეპავს, შენ ხომ წელს მოწყვეტავდიო!

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სახელდობრ: 70 ათასი ფუთი ქერისა, 60 ათასი ფუთი თივისა და 30 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის **1** საათამდე.

(4—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ უადგანაც **10** აგვისტოს საჯარო ვაჭრობა მაღლების დაჭერა-ამოწყვეტისა და დახოცილ პირუტყვთა გაზიდვის საქმის იჯარით აღების შესახებ არ მოსდა, ეს ვაჭრობა დანიშნულია 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ

პირობების გასინჯვა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის **1** საათამდე.

(3—1).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**